ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27/28

2019 ლის 2 დეკემბერი

ქ. ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და 141-ე მუხლის მე-11 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებების შესაბამისად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

თვითმმართველი ქალაქის-ფოთის საკრებულოს 2013 წლის 9 დეკემბრის №23/138 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა თვითმმართველი ქალაქის – ფოთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია – ტექსტური ნაწილი (დანართი №1);

ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმა (დანართი №2);

გ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმა (დანართი №3).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს თვითმმართველი ქალაქის – ფოთის საკრებულოს 2013 წლის 9 დეკემბრის №23/138 განკარგულება „თვითმმართველი ქალაქის – ფოთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია